CAUCASIAN MINING GROUP LLC

CMG

შპს კავკასიის სამთო ჯგუფი

№102. 02.08.2021.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს

უფროსს ბატონ არჩილ ნიკოლეიშვილს

ბატონო არჩილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია N10002084, (ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა მოპოვება.

აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში დაგეგმილი გვაქვს წიაღის მოპოვებისათვის (მათ შორის, ამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის) საჭირო მიწის სამუშაოების და განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში სპეციალური სარგებლობის ჭრების განხორციელება. დაგეგმილი სამუშაოების არეალი მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას, რომლის გათვალისწინებითაც აუცილებელია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ს მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18მაისის №221 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით, რათა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულ ##80.13.67.077; 80.13.67.078;80.13.67.048;80.13.67.057; 80.13.67.058; 80.13.67.056 და 80.13.67.054 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ ნაკვეთებზე და წინამდებარე წერილზე თანდართულ აზომვით ნახაზებზე დატანილ ფართობებზე (საერთო ფართობით565333 კვ.მ.) წიაღის მოპოვებისათვის (მათ შორის, ამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის) საჭირო მიწის სამუშაოების და განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში სპეციალური სარგებლობის ჭრების განხორციელებისათვის შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ს



ს/კ: 404908775. იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, ყიფშიძის ქ. №6.
საფოსტო მისამართი: 0171, ქ. თბილისი, ალექსიძის ქუჩა №1/III შესახვევი, კორპუსი №9, ტელ: +995 599 57 55 11, +995 595 90 81 47, ელ. ფოსტა: info@cmg.ge
ID Code: 404908775. Legal Address: 6 Kipshidze Street, Tbilisi, Georgia. Postal address: 0171, 1 Aleksidze street/3rd lane, Tbilisi, Georgia.
Phone: +995 599 57 55 11, +995 595 90 81 47, E-mail: info@cmg.ge

მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლება 20 წლის ვადით **4203,53**კბ.მ.ხე-ტყის ჭრის უფლებით.

აქვე განგიმარტავთ, რომ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი"-ის მიერ მოთხოვნილი **565333** კვ.მ. საერთო ფართობიდან **1299** კვ.მ. და **609** კვ.მ. ფართობის ნაკვეთები ზედდებაშია **N80.13.67.055** საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან, შესაბამისად უნდა განხორციელდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის გამიჯვნა და ცალ-ცალკე ნაკვეთებად დარეგისტრირება, ხოლო სპეცსარგებლობა განხორციელებული იქნება იმ ნაწილზე, რომელთა ფართობებიცაა **1299** კვ.მ. და **609** კვ.მ., რისთვისაც აგრეთვე გიგზავნით გასამიჯნი ნაკვეთების შესახებ საკადასტრო აზომვით ნახაზებს და Shp-ფაილების ელექტრონულ ვერსიებს.

დამატებით, გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ მოთხოვნილ ფართობებზე არ აღინიშნება წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები და არც $30^0$ და მეტი დაქანების ფერდობები.

დანართი:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის ასლი;
- მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზები;
- მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების Shp-ფაილების ელექტრონული ვერსიები UTM კოორდინატთა სისტემაში (7დისკი);
- ტყეკაფის აღრიცხვის მასალები.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ჯონდო შუბითიძე